

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №1266

2005 წლის 26 დეკემბერი

ქ. თბილისი

### ნაღდი ანგარიშსწორებისთვის კომერციულ ბანკებში საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშების გახსნის შესახებ

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 31.12.2014 წ.*

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის, 18<sup>4</sup> მუხლის მე-6 ნაწილის და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის N341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №918-სსმIII, №159, 30.12.2009წ.; მუხ.1982*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის ბრძანება N51 - ვებგვერდი, 18.02.2015წ.*

1. სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, ბიუჯეტით განსაზღვრული გადასახდელებით, ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების დაბრუნების ნაღდი ანგარიშსწორების და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანის ოპერაციებისთვის, საბანკო დაწესებულებებში გახსნან კორპორაციული მიმდინარე ანგარიში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 31.12.2014 წ.*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის ბრძანება N51 - ვებგვერდი, 18.02.2015წ.*

2. ორგანიზაციის მიერ კორპორაციული მიმდინარე ანგარიშიდან გატანილი ნაღდი ფული ჩაბარდეს ორგანიზაციის სალაროში.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

2<sup>1</sup>. ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ფარგლებში, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ კორპორაციულ მიმდინარე ანგარიშიდან შესაძლებელია ინტერნეტით განსახორციელებელი შესყიდვის პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორება.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 31.12.2014 წ.*

2<sup>2</sup>. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობით, საბიუჯეტო ორგანიზაციას შესაძლებელია, გაეხსნას კორპორაციული მიმდინარე ანგარიში მივლინებასთან დაკავშირებული გაუთვალისწინებელი ხარჯების დასაფინანსებლად, სადაც ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან თანხა წინასწარ მიიმართება ორგანიზაციის მიერ დადგენილი ოდენობით.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 31.12.2014 წ.*

2<sup>3</sup>. კორპორაციული მიმდინარე ანგარიშიდან, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-1<sup>1</sup> პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას, საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ შესაძლებელია პლასტიკური ზარათით ანგარიშსწორება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ამ ფორმით ანგარიშსწორების გარდა სხვა ალტერნატივა.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის ბრძანება N51 - ვებგვერდი, 18.02.2015წ.*

3. კორპორაციული მიმდინარე ანგარიშიდან, ამ ბრძანებით განსაზღვრული მიზნების გარდა სხვა დანიშნულებით, ოპერაციების განხორციელება დაუშვებელია.

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.*

*საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის ბრძანება N51 - ვებგვერდი, 18.02.2015წ.*

4. (ამოღებულია - 07.09.2011, №472).

5. ბრძანება ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

#### **ა. ალექსიშვილი**

##### **შეტანილი ცვლილებები:**

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №918-სსმIII, №159, 30.12.2009წ.; მუხ.1982

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 7 სექტემბრის ბრძანება №472 - ვებგვერდი, 08.09.2011 წ.

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის ბრძანება №420 - ვებგვერდი, 31.12.2014 წ.

4. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 თებერვლის ბრძანება N51 - ვებგვერდი, 18.02.2015წ.